# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 115

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბათუმი 09 11 2011 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება", წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი პირის – საფინანსო და სამეურნეო დარგში დირექტორის მოადგილის – როინ დავითაძის სახით (შემდგომში – „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „დიმარი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანული ფარტენაძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (ფორმა 3) გათვალისწინებული 10 ცალი მრავალგორგოლაჭიანი შკივის (კლასიფიკატორის კოდი: 42141600) (შემდგომში – საქონელი) მიწოდება.

### 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველს საქონელი მიაწოდოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში.

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

### 3. ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. საქონლის მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს. საქონლის რაოდენობა და ერთეული ფასი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (ფორმა 3).

3.2. შემსყიდველი მიმწოდებლისათვის საქონლის ღირებულების ანგარიშსწორებას განახორციელებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, გადარიცხვის ფორმით, შესაბამისი სასაქონლო ზედნადების (საგადასახადო ანგარიშფაქტურის) და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.

445393510

3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

## 4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

4.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასების შეცვლა შეიძლება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობის მიხედვით აღნიშნული კურსის აბსოლუტური მნიშვნელობის 5%-ზე მეტი ცვლილების შემთხვევაში, როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში;

ბ) საგადასახადო რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შეამცირებს ფასებს 5%-ით ან მეტით;

გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალის-წინებული გარემოებების არსებობისას.

4.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 5. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებ-ლობის, შესრულების ვადების დაგვიანებისა ან/და არაჯეროვანი შესრულები-სათვის მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულე-ბის ვადების გადაცილების შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე. ვალდე-ბულია ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მეორე მხარეს პირგასამტეხ-ლოს სახით აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ი.

9.2. საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი შესყიდვების კოორდინატორი.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარეთა პასუხისმგებლობას ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან (თუ იგი გამოწვეული იყო მესამე პირის ბრალეული მოქმედებით, უბედურება, ხანძარი, ომი, მთავრობის დადგენილება ან მიმწოდებელთან შექმნილი ავარიული სიტუაცია და სხვა).

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს თავისი ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

## 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 14. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლიარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

15.2. მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 10 დღის განმავლობაში აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| ა.(ა).ი.პ.– „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება” | შპს „დიმარი” |
| ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25 | ქ. ბათუმი, პუშკინის (ფალავანდიშვილის) ქ №22/18; |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 445393510 | ს/კ 445394092 |
| | სს „ლიბერთი ბანკი” (443) |
| | კოდი: 220101443 |
| | ან.№GE81LB0113134284191000 |
| დირექტორის მოადგილე: | |
| როინ დავითაძე | ნანული ფარტენაძე |
| (ხელმოწერა) | (ხელმოწერა) |

დანართი (ფორმა 3)

| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1 | მრავალგორგოლაჭიანი შკივი | 10 ცალი | 30 | 300 |
| | | | | სულ ჯამი: 300 ლარი |